მარტინ ლუთერი

Martin Luther

ქადაგება სიკვდილისთვის მზადების შესახებ

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

ტრაქტატი აღწერს სიკვდილისთვის მზადების რამდენიმე საფეხურს. ავტორი ცდილობს გააძლიეროს, დაიცვას მომაკვდავი სიკვდილის ჟამს სასოწარკვეთილების ცდუნებისაგან.

ლუთერი ურჩევს სიკვდილის წინაშე მდგარ ადამიანებს წარმოიდგინონ სამი მოელვარე სურათი – სიცოცხლის, წყალობისა და ზეცის, იმისათვის, რათა განდევნონ ცნობიერებიდან მათი სამი სრულიად საპირისპირო – სიკვდილი, ცოდვა და ჯოჯოხეთი.

მთარგმნელი: გია ბერაძე
კორექტორი: ლიზი ქოპილაშვილი
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6551-0

სარჩევი

მარტინ ლუთერის ბიოგრაფია.....4
ქადაგება სიკვდილისთვის მზადების შესახებ.....13

მარტინ ლუთერის ბიოგრაფია

მარტინ ლუთერი – XVI საუკუნის უდიდესი რეფორმატორი, რომელმაც გაბედა, დაპირისპირებოდა კათოლიკურ ეკლესიას. ის არის პროტესტანტიზმისა და ლუთერანობის დამფუძნებელი. სიცოცხლის ბოლომდე ის მოაზროვნე ღმერთს ემსახურებოდა და საკუთარ თავს ცოდვილებს მიაკუთვნებდა.

„თუ მეტყვიან, რომ ხვალ სამყაროს აღსასრული დადგება, დღეს ხეს მაინც დავრგავდი“ – ეს სიტყვები მარტინ ლუთერს ეკუთვნის. ის 1483 წლის 8 თებერვალს აისლებენში, საქსონიაში, დაიბადა უბრალო საქსონელი მაღაროელის ოჯახში.

7 წლის ასაკში მომავალ ფილოსოფოსს პირველი ცხოვრებისეული სიძნელეების გადატანა მოუხდა. მშობლებმა ის ქალაქის სკოლაში გაგზავნეს, სადაც მას ხშირად სჯიდნენ და ამცირებდნენ. 7 წლის განმავლობაში მან მხოლოდ წერა-კითხვა, ლოცვები და 10 მცნება ისწავლა.

14 წლის ასაკში მოზარდი ფრანცისკანულ სკოლაში შეიყვანეს მაგდებურგში, ერთი წლის შემდეგ კი ეიზენაჰში გადაიყვანეს. ამ პერიოდში ოჯახს ძალიან უჭირდა და მას უკვე უწევდა ფიქრი იმაზე, რომ დამოუკიდებელი შემოსავალი ჰქონოდა. მარტინმა შემთხვევით გაიცნო ეიზენაჰის მდიდარი მაცხოვრებლის ცოლი. ქალმა გადაწყვიტა, მას დახმარებოდა და დროებით საცხოვრებლად საკუთარ სახლში მიიწვია. ამან მარტინს გზა გაუხსნა ახალი ცხოვრებისაკენ.

1501 წელს ლუთერი ერფურტის უნივერსიტეტში მოეწყო ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც ფილოსოფიას, დიალექტიკასა და სამართალს სწავლობდა. ის თანატოლებს შორის განსაკუთრებული მეხსიერებით გამოირჩეოდა, ადვილად ითვისებდა რთულ მასალებს და მალე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა.

ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ ლუთერი ფილოსოფიის ლექციების წასაკითხად მი-

იწვიეს. ამავე დროს ის სწავლობდა იურისპრუ-დენციის საფუძვლებს და კითხულობდა ეკლესიის მამების ნაშრომებს. მან ყველა გააკვირვა თავისი საქციელით, როცა მონასტერში წავიდა ღმერთის მსახურებისათვის. ამის ერთ-ერთ მიზეზად იქცა მისი ახლობლის სიკვდილი და საკუთარი ცოდვე-ბის გაცნობიერება.

1506 წელს ის ბერი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი – წმინდანი, სახელად ძმა ავგუსტინი.

მიუხედავად მისი ღრმა რწმენისა, მარტინ ლუთერი გამუდმებით ებრძოდა საკუთარ თავში წინააღმდეგობებსა და კომპლექსებს. საკუთარი თავი ცოდვილად და სუსტ ადამიანად მიაჩნდა. სულიერი კრიზისი იქცა მისი სულიერი სამყაროს ხელახალი გადააზრების საფუძვლად.

ლუთერის მიხედვით, სახელმწიფო დამოკი-დებული არ უნდა იყოს ეკლესიაზე. მან მკაცრად გააკრიტიკა 1517 წლის პაპის ბულა. კათოლიკურმა მოძღვრებამ საბოლოოდ გაუცრუა იმედები და ღვთისმეტყველმა ჩამოაყალიბა საკუთარი 95 თე-ზისი, რომლებიც მთლიანად უარყოფდა რომის ეკლესიის პოსტულატებს, მათ შორის, ინდული-გენციების გაყიდვას, რომელთა ყიდვითაც ადა-მიანი თითქოსდა ცოდვებისაგან თავისუფლდე-ბოდა.

მარტინ ლუთერი

ქადაგება სიკვდილისთვის მზადების შესახებ

1. რამდენადაც სიკვდილი ამ სამყაროსთან გამოთხოვებაა, აუცილებელია, ადამიანმა თავისი დროებითი, მიწიერი სიამენი ისე გაანაწილოს, როგორც საჭიროა, ან როგორც მას წარმოუდგენია, რათა მის მეგობრებს შორის მისი გარდაცვალების შემდეგ არ არსებობდეს მიზეზი დავებისა და გაუგებრობისათვის. სამყაროსთან ეს ფიზიკური თუ გარეგნული გამოთხოვება არის საბოლოო გამომშვიდობება მთელ ჩვენს ქონებასთან.

2. ეს ასევე სულიერი გამომშვიდობებაც უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხალისით და გულწრფელად, ღვთის გულისათვის უნდა მივუტევოთ ყველას, ვისაც შეურაცხყოფა მოუყენებია ჩვენთვის. ამავე დროს, ჩვენ ასევე ღვთის გულისათვის მთელი სულითა და გულით შენდობა უნდა ვთხოვოთ ყველა იმ ადამიანს, რომელთაც ოდესმე ვაწყენინეთ (ასეთები კი, ეჭვი არ არის, საკმაოდ ბევრია) იმით, რომ ცუდი მაგალითი ვაჩვენეთ ან ძალიან ცოტა სიკეთე გავუკეთეთ იმასთან შედარებით, რასაც ქრისტიანების ძმობის კანონი მოითხოვს. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენი სული რაღაც მიწიერი საქმეების ტყვეობაში არ დარჩეს.